მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი

მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სასტუმრო და კომერციული)

გამწვანების პროექტის საპროექტო წინადადება

შემსრულებელი ორგანიზაცია	შპს სტუდიო ალფა სახლი ს.კ. 404664573
პრ. ავტორი :	მ. პაპუკაშვილი

საკადასტრო მონაცემები :	ს.კ. 01.11.04.026.046
ობიექტის მისამართი	ქ. თბილისი, თ. შეშელიძის ქუჩა №18
ფუნქციური დანიშნულება	მრავალფუნქციური კომპლექსი

ქ. თბილისი

2025 წ.

საზოგადოებრივ - საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)

კ3 - 2815.3 კ3.მ

კ3 - 2815.3/9377=0.3

152.8 მ²

83.6 მ²

46.7 მ²

2,360.7 მ²

18.2 მ²

48.8 მ²

70.1 მ²

13.9 მ²

20.5 მ²

ობიექტის მისამართი

ს.კ. 01.11.04.026.046

ქ. ობილისი,
თ. ჭავჭავაძის ქუჩა №18

ფუნქციური დანიშნულება

მრავალფუნქციური
კომპლექსი

შემსრულებელი ორგანიზაცია

შპს სტუდიო ალფა სახლი
ს.კ. 404664573

დირექტორი
მ.პაპუკაშვილი

არქიტექტორი
მ.პაპუკაშვილი

კვ კოეფიციენტის
დადგენის სქემა

A - 2

მასშტაბი	1 : 300
თარიღი	07/04/2025
ფურც.	168

ობიექტის მისამართი

ს.კ. 01.11.04.026.046

ქ. თბილისი,
თ. ჭავჭავაძის ქუჩა №18

ფუნქციური დანიშნულება

მრავალფუნქციური
კომპლექსი

შემსრულებელი ორგანიზაცია

შპს სტუდიო ალფა სახლი
ს.კ. 404664573

დირექტორი
მ.პაპუკაშვილი

არქიტექტორი
მ.პაპუკაშვილი

არსებული ხე - ნარგავების ხაქმა

A - 2	
მასშტაბი	1 : 300
თარიღი	05/19/2025
ფურც.	169

ვაკანსიის ნომერი	0
ვაკანსიის გამოქვეყნების თარიღი	07/04/2025
ვაკანსიის ვადა	170

ვაკანსიის დასახელება	ადმინისტრატორი
სტრუქტურული ერთეული	ადმინისტრაციული განყოფილება
ანაზღაურების ოდენობა	1200
სამუშაო გრაფიკი	ხუთდღიანი
სამუშაო ადგილის მისამართი	ქ. ზესტაფონი, ა. ჭავჭავაძის ქუჩა №18
ვაკანსიის ტიპი	ახალი
ვაკანსიის აღწერა	ადმინისტრაციული განყოფილების ადმინისტრატორი ახორციელებს ადმინისტრაციული განყოფილების ოპერატიულ მართვას, ორგანიზაციულ, ტექნიკურ და საინფორმაციო უზრუნველყოფას.
ვაკანსიის მოთხოვნები	განათლება: სრული ზოგადი განათლება გამოცდილება: მინიმუმ 1 წელი ენების ცოდნა: ქართული - მშობლიური კომპიუტერული უნარები: MS Office, ინტერნეტი, ელ. ფოსტა სხვა: სასურველია სამუშაო გამოცდილება საჯარო სექტორში
საკონტაქტო პირი	ნინო ბერიძე
საკონტაქტო ტელეფონი	0 595 12 34 56
საკონტაქტო ელ-ფოსტა	n.beridze@zestafoni.gov.ge

გამწვანების პროექტის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო: გარემოს დაცვის სააქალაქო სამსახური.

შენიშვნა: საპროექტო ხე-ნარგავების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის 05.14.147. განკარგულებით დამტკიცებული რეკომენდირებული და პრიორიტეტული მცენარეების ნუსხიდან.
გამწვანების პროექტის შეთანხმების თარიღი - მიმდინარეობს შეთანხმება.

მიწის ნაკვეთის საკადასტრო მომაცემები: ს.კ. 01.11.04.026.046

მიწის ნაკვეთის ფართობი : 9377 კვ.მ
საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) კ3 კოეფიციენტის ფართობი 2821.6 კვ.მ.
გამწვანების პროექტის დასრულების თარიღი : 10.08.2026
გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია შპს "ალფა სახლი გლდანში" ს.კ. 400347246
გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლის ხანგრძლივობა : 3 წელი

არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობა : 10 ხე-მცენარე.
გასაშენებელი მწვანე ნარგავების რაოდენობა : 109 ხე-მცენარე.

გასაშენებელი ხე ნარგავების სახეობები:

ირმის რქა
რაოდენობა : 5
ხნოვანება: 5 - 10 წ.
სიმაღლე: 3 - 5.5 მ.
დახასიათება: გვალვაბამძლე, საშუალოდ მზარდი.

ჩვეულებრივი იფანი, კვიპაროზი
რაოდენობა : 21
ხნოვანება: 5 - 10 წ.
სიმაღლე: 3 - 5.5 მ.
გაეშემოწერილობა: 20 სმ.
დახასიათება: გვალვაბამძლე, გვალვაბამძლე, სწრაფად მზარდი.

მინდვრის ნეკერჩხალი
რაოდენობა : 83
ხნოვანება: 5 - 10 წ.
სიმაღლე: 3 - 5.5 მ.
გაეშემოწერილობა: 20 სმ.
დახასიათება: გვალვაბამძლე, გვალვაბამძლე, სწრაფად მზარდი.

№ 1 თუთა ;
№ 2 მსხალი; მოსაჭრელი
№ 3 თუთა
№ 4 თუთა;
№ 5 თელა
№ 6 ჭერამი
№ 7 იფანი
№ 8 კანადური ვერხვი
№ 9 თელა
№ 10 თუთა

არსებული ხე ნარგავების სახეობები:





მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება და საექსპერტო დასკვნა

ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩა, მიწის ნაკვეთი - ს/კ 01.11.04.026.046

დოკუმენტის დანიშნულება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენად

შემსრულებელი: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“
თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე

2021

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია:
საიდენტიფიკაციო კოდი:
საკონტაქტო პირი:
საკონტაქტო ტელეფონი:
ელექტრონული ფოსტა:

საკონსულტაციო კომპანია: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“



თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე
საკონტაქტო ტელეფონი: +995 (95) 95 07 00
ელექტრონული ფოსტა: iliaokromelidze@gmail.com

შინაარსი

1. შესავალი 4

2. საექსპერტო დასკვნის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი 4

3. ტერიტორიის აღწერა 4

3.1. მიწის ნაკვეთის ზონალური კუთვნილება 6

4. ჩატარებული სამუშაოები 7

5. ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღწერა 8

5.1. მცენარეთა აღრიცხვა-შეფასების სრული უწყისი N1 8

5.2. გადასარგავი ხე-მცენარეების უწყისი N2 8

5.3. მოსაჭრელი ხე-მცენარეების უწყისი N3 9

5.4. ს/კ 01.11.04.026.046 მიწის ნაკვეთსა და შეშელიძის ქუჩას შორის არსებული ხე-მცენარეების უწყისი N4 9

6. დასკვნა 10

1. შესავალი

საექსპერტო დასკვნის მიზანია ქალაქ თბილისში, შეშელიძის N18-ში, საკადასტრო კოდზე - 01.11.04.026.046 არსებულ მიწის ნაკვეთზე ხე-მცენარეების აღრიცხვა და ხარისხობრივი შეფასება.

2. საექსპერტო დასკვნის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე დოკუმენტის შედგენის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“, ქალაქ თბილისის უნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილება და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის 2017 წლის 02 ივნისის N5-31 ბრძანება.

3. ტერიტორიის აღწერა

ს/კ - 01.11.04.026.046 ნაკვეთი მდებარეობს ქალაქ თბილისში, შეშელიძის N18-ში. აღნიშნული მიწის ნაკვეთი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა და საერთო ფართობი შეადგენს 9377 კვ.მ-ს. ტერიტორია წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენულ დატვირთვას. მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო საწარმო *(იხ. სურათი 1).*

სურათი 1. საპროექტო ტერიტორიის ორთოფოტო



3.1. მიწის ნაკვეთის ზონალური კუთვნილება

ს/კ 01.11.04.026.046

ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონის მიხედვით ნაწილობრივ წარმოადგენს გეგმარებითი კარკას და პერიფერიულ ზონას (პზ).

სურათი 2.



ფუნქციური ზონის მიხედვით წარმოადგენს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ასევე ნაწილობრივ კვეთს სატრანსპორტო ზონას და ურბანულ გამწვანებას (შიდა კვარტალური)

სურათი 3.



აღნიშნული მიწის ნაკვეთი ნაწილობრივ კვეთს შეზღუდვის ზონას, კერძოდ ჯიხურების აკრძალვას (6კვმ-დე ნაგებობის განთავსების შეზღუდვა).

სურათი 4.



4. ჩატარებული სამუშაოები

ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრის“ ექსპერტის (ლ. გოშაძის) მიერ მიმდინარე წლის 15 ივლისს ზემოღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.11.04.026.046) განხორციელდა არსებული მერქნიანი ხე-მცენარეების აღრიცხვა, გაზომვა, მდგომარეობის ვიზუალური შეფასება, ფოტომასალის გადაღება და უწყისების შედგენა, ასევე აღირიცხა შეშელიძის ქუჩისა და აღნიშნულ საკადასტრო კოდს შორის არსებული ხე-მცენარეები, რომლებსაც მიენიჭათ ახალი ნომერიაცია 1 დან 17 ჩათვლით. აღწერილი ხე-მცენარეები მოცემულია შესაბამის უწყისში (*იხ. 5.4. ს/კ 01.11.04.026.046 მიწის ნაკვეთსა და შეშელიძის ქუჩას შორის არსებული ხე-მცენარეების უწყისი N4*)

ტერიტორიაზე აღიწერა (საკადასტრო კოდი 01.11.04.026.046) 10 მერქნიანი ხე-მცენარე, ხოლო შეშელიძისა და ნაკვეთს შორის 17 მერქნიანი ხე-მცენარე და თითოეული დატანილი იქნა ტოპო-გეგმაზე (იხ. დანართი რუკა).

5. ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღწერა

აღწერილი მერქნიანი ხე-მცენარეები მდებარეობენ ს/კ 01.11.04.026.046 მიწის ნაკვეთზე. აღრიცხვა-შეფასების შედეგები მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების აღრიცხვის უწყისებში.

წინამდებარე დოკუმენტს თან ახლავს ტოპო-გეგმები, რომელზეც დატანილია აღრიცხვის უწყისებში მოცემული თითოეული მცენარე.

5.1. მცენარეთა აღრიცხვა-შეფასების სრული უწყისი N1

მისამართი:	ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩა N18
საკადასტრო კოდი	01.11.04.026.046
მიწის ნაკვეთის ფართობი	9377 კვ.მ
აღრიცხვის მეთოდი	ძირობრივი

ხის №	მცენარის სახეობა	დიამეტრი (10 სმ-ზე)	შენიშვნა/შეფასება
1	თუთა *(Morus sp.)*	47	მრავალღეროიანი/6 ღერო/ჯანსაღი
2	მსხალი *(Pyrus sp.)*	0-4	მრავალღეროიანი/10 ღერო/ამონაყარი/ჯანსაღი
3	თუთა *(Morus sp.)*	30	ჯირკზე ამონაყარი/ჯანსაღი შესაძლებელია გადარგვა
4	თუთა *(Morus sp.)*	8-12	მრავალღეროიანი/9 ღერო/ჯანსაღი შესაძლებელია გადარგვა
5	თელა *(Ulmus minor)*	44	1 ძირი/ჯანსაღი
6	ჭერამი *(Prúnus armeniáca)*	19	1 ძირი/ჯანსაღი
7	იფანი *(Fraxinus excelsior)*	13	1 ძირი/ჯანსაღი
8	კანადური ვერხვი *(Populus deltoides)*	33	1 ძირი/მიწიდან 60 სმ-ზე აქვს ფუღურო/ავარიული
9	თელა *(Ulmus minor)*	46	1 ძირი/ჯანსაღი
10	თუთა *(Morus sp.)*	42	1 ძირი/ჯანსაღი

5.2. გადასარგავი ხე-მცენარეების უწყისი N2

მისამართი:	ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩა N18
საკადასტრო კოდი	01.11.04.026.046
მიწის ნაკვეთის ფართობი	9377 კვ.მ
აღრიცხვის მეთოდი	ძირობრივი

ს/კ 01.11.04.026.046 მიწის ნაკვეთზე გადასარგავი 2 ხე-მცენარეა.

№	ხის №	მცენარის სახეობა	დიამეტრი (10 სმ-ზე)	შენიშვნა/შეფასება
1	3	თუთა *(Morus)*	30	ჯირკზე ამონაყარი/ჯანსაღი
2	4	თუთა *(Morus)*	8-12	მრავალღეროიანი/9 ღერო/ჯანსაღი

5.3. მოსაჭრელი ხე-მცენარეების უწყისი N3

მისამართი:	ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩა N18
საკადასტრო კოდი	01.11.04.026.046
მიწის ნაკვეთის ფართობი	9377 კვ.მ
აღრიცხვის მეთოდი	ძირობრივი

ს/კ 01.11.04.026.046 მიწის ნაკვეთზე მოსაჭრელი 1 ხე-მცენარეა.

№	ხის №	მცენარის სახეობა	დიამეტრი (10 სმ-ზე)	შენიშვნა/შეფასება
1	2	მსხალი (*Pyrus*)	0-4	მრავალღეროიანი/10 ღერო/ამონაყარი/ჯანსაღი

5.4. ს/კ 01.11.04.026.046 მიწის ნაკვეთსა და შეშელიძის ქუჩას შორის არსებული ხე-მცენარეების უწყისი N4

აღნიშნულ მონკვეთზე აღწერილ იქნა 17 ინდივიდი საიდანაც 6 ინდივიდი (N11, N12, N13, N14, N15, N16) წარმოადგენს ხილ-კენკროვანს, ხოლო აქედან 1 ინდივი N11 ხმობადია.

ხის №	მცენარის სახეობა	დიამეტრი (10 სმ-ზე)	შენიშვნა/შეფასება
1	კვიპაროზი *(Cupressus)*	43	1 ძირი/ჯანსაღი
2	კვიპაროზი *(Cupressus)*	41	1 ძირი/ჯანსაღი
3	კვიპაროზი *(Cupressus)*	8	1 ძირი/ჯანსაღი
4	კვიპაროზი *(Cupressus)*	24	1 ძირი/ჯანსაღი
5	კვიპაროზი *(Cupressus)*	23	1 ძირი/ჯანსაღი
6	კვიპაროზი *(Cupressus)*	22	1 ძირი/ჯანსაღი
7	კვიპაროზი *(Cupressus)*	18	1 ძირი/ჯანსაღი
8	კვიპაროზი *(Cupressus)*	12;23	2 ძირი/ჯანსაღი
9	კვიპაროზი *(Cupressus)*	12;24	2 ძირი/ჯანსაღი
10	თუთა *(Morus sp.)*	8-15	1 ძირი/ამონაყრი/4 ღერო/ჯანსაღი
11	ბალი *(Prunus avium)*	10	ხილ-კენკროვანი/1 ძირი/ხმობადი
12	ქლიავი *(Prunus domestica)*	2-4	ხილ-კენკროვანი/5 ძირი/ამონაყარი/15 ღერო/ჯანსაღი
13	ქლიავი *(Prunus domestica)*	2-8	ხილ-კენკროვანი/5 ძირი/ამონაყარი/14 ღერო/ჯანსაღი
14	ბალი *(Prunus avium)*	4;8	ხილ-კენკროვანი/2 ძირი/ხმობადი
15	ქლიავი *(Prunus domestica)*	2-4	ხილ-კენკროვანი/5 ძირი/ამონაყარი/9 ღერო/ჯანსაღი
16	ბალი *(Prunus avium)*	2-4	ხილ-კენკროვანი/1 ძირი/ამონაყარი/4 ღერო/ჯანსაღი
17	თუთა *(Morus sp.)*	2	1 ძირი/ჯანსაღი

6. დასკვნა

საველე სამუშაოების დროს აღიწერა სულ 10 მერქნიანი ხე-მცენარე, რომლებიც შეტანილია აღრიცხვის უწყისებში და დატანილია ტოპო-გეგმაზე.

ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების მიზნით აღწერილი 10 ხე-მცენარიდან 2 ინდივიდი - N3 და N4 საჭიროებს გადარგავს ***(იხ. თავი 5.2. გადასარგავი ხე-მცენარეების უწყისი N2),*** ხოლო N2 ინდივიდი მოჭრას ***(იხ. თავი 5.3. მოსაჭრელი ხე-მცენარეების უწყისი N3)***.

შეშელიძისა და ს/კ 01.11.04.026.046 მიწის ნაკვეთს შორის აღიწერა 17 მერქნიანი ხე-მცენარე და თითოეული დატანილი იქნა ტოპო-გეგმაზე. აღწერილი 17 ინდივიდიდან, 6 ინდივიდი (N11, N12, N13, N14, N15, N16) წარმოადგენს ხილ-კენკროვანს, ხოლო აქედან 1 ინდივი N11 ხმობადია.

შემსრულებელი: ლევან გოშაძე, ექსპერტი




10


9


8
7
6


5


4


3


2


1

ხე-მცენარეების გადარგვის პროექტი

ქალაქი თბილისი, შეშელიძის ქუჩა, მიწის ნაკვეთი - ს/კ 01.11.04.026.046

დოკუმენტის დანიშნულება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენად

შემსრულებელი: ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“
თავმჯდომარე: ლია ოქრომელიძე

2022

თუთა (*Morus sp.*) - N3; D - 30 სმ

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი

დირექტორი:
საკონტაქტო ტელეფონი:
ელექტრონული ფოსტა:

საკონსულტაციო კომპანია:

ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“
ს/კ:400261916
თავმჯდომარე: ილია ოქრომელიძე
საკონტაქტო ტელეფონი: +995 (99) 95 07 00
ელექტრონული ფოსტა: iliaokromelidze@gmail.com

1. შესავალი

მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით 01.11.04.026.046 არსებული 1ძირი საჭიროებს გადარგვას იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში. მწვანე ნარგავების ხარისხოვრივ შეფასებაზე ა(ა)იპ „გარემოს დაცვის ცენტრი“-ს მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნის თანახმად მიწის ნაკვეთზე - ს/კ 01.11.04.026.046 გამოვლენილია 25 სმ და მეტი დიამეტრის 1 ძირი ხე-მცენარე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავდა 25 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხე-მცენარის გადარგვის ინდივიდუალურ-ტექნიკური დოკუმენტაცია:

ხის N	მცენარის სახეობა	დიამეტრი
N3	**თუთა *(Morus sp.)***	**30 სმ**

მოცემული ხე-მცენარის გადარგვა მოხდება იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში, (ს/კ 01.11.04.026.046. მის: ქალაქი თბილისი, შეშელიძის N 18-ში).

გადასარგავი ხე-მცენარის გადარგვის ნაბიჯები

1. • გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომის განსაზღვრა
2. • გადარგვის ადგილის განსაზღვრა
3. • გადარგვის ადგილის (ორმოს) მომზადება
4. • გადასარგავი ხე-მცენარის კომის ამოღება/შეფუთვა
5. • ხე-მცენარის სარგავ ორმოში მოთავსება
6. • *ხე-მცენარის გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა*

ქვემოთ აღწერილია აღნიშნული ხე-მცენარის ამოღებისა და გადარგვის პროცედურები, რომლებიც უნდა განხორციელდეს წლის არასავეგეტაციო პერიოდში და ასევე მოცემულია გადარგვის შემდგომ მათი მოვლა-პატრონობის წესები.

2. ხე-მცენარის ამოღება

გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომის განსაზღვრა

- გადასარგავი ხე-მცენარის კომის დიამეტრი განისაზღვრება ფესვის ყელთან არსებული დიამეტრის ზომის არანაკლებ ათმაგი ოდენობით, ხოლო სიღრმე - კომის დიამეტრის ნახევრიდან 1.7 მ-დე.

კომის გამოყოფა ნიადაგიდან და მისი ამოღება საჭიროა, განხორციელდეს სპეც-ტექნიკის საშუალებით, განსაკუთრებული სიფრთხილით, ისე რომ კომი დაცული იყოს მკვეთრი და ძლიერი დარტყმებისგან და არ დაზიანდეს ფესვთა სისტემა;

გადასარგავი ხე-მცენარის კომის შეფუთვა

- ამოღებისას კომი დაუყოვნებლივ უნდა შეიფუთოს სპეციალური ბადით ან ჯვალოს მატერიით და მისი ფიქსირება მოხდეს ისე, რომ გადატანის დროს უზრუნველყოფილი იყოს მისი მთლიანობის შენარჩუნება;

ტრანსპორტირების შემთხვევაში, შეფუთულ კომს უნდა გაუკეთდეს დამცავი კონსტრუქცია (ხის ჩარჩო, მავთულბადე, ჭილოფი, ასაწყობი ყუთები, მეტალის სხვადასხვა კოსტრუქცია ან/და სხვ.);

გადასარგავი ხე-მცენარის კომის შეფუთვის შემდგომ

მიწის კომის შეფუთვის შემდგომ ხის ღეროზე გაკეთდეს სპეციალური შალითა, რომელიც შეიძლება დამზადებული იყოს ქეჩის, ტყავის ან ბრეზენტისგან.

შალითის დანიშნულებაა დატვირთვის, გადაზიდვის და დარგვის დროს ხის შტამბი დაცული იყოს შესაძლო შემთხვევითი დაზიანებისგან;

საჭიროების შემთხვევაში ხე-მცენარეზე ხორციელდება სხვლა-ფორმირება, რათა გადაადგილებისას თავიდან ავიცილოთ მცენარის ისეთი არასასურველი რყევები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კომის შიგნით ფესვების დაგლეჯა და ნიადაგის მოშორება.

3. ხე-მცენარის გადარგვა

გადარგვის ადგილის განსაზღვრა

- გადარგვის ადგილი უნდა განისაზღვროს შენობის გარე კედლიდან ან/და მშენებარე ობიექტის საძირკველიდან მინიმუმ 3 მ-ის დაშორებით.

გადარგვის ადგილის (ორმოს) მომზადება

- გადასარგავ ადგილზე აუცილებელია წინასწარ მომზადდეს ორმო:
  - ორმოს უნდა ჰქონდეს 0.5–0.9 მ-ით მეტი დიამეტრი და 0.2-0.25 მ-ით მეტი სიღრმე გადასარგავი ხე-მცენარის კომის ზომებთან შედარებით;
  - ორმოს უნდა ჩაუტარდეს დეზინფექცია ნიადაგის მავნებლების და პათოგენური სოკოების საწინააღმდეგოდ თანამედროვე პესტიციდებითა და ფუნგიციდებით, რათა თავიდან აცილებული იქნას ისეთი დაზიანებები და დაავადებები, რომლებსაც მცენარე იღებს ნიადაგიდან;
  - ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 0.2-0.25 მ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა;
  - თითოეულ ორმოში უნდა ჩაიყაროს 15-20 კგ ორგანული სასუქი (გადამწვარი ნაკელი, ტორფნაკელი და ტორფ-დოლომიტი);

ხე-მცენარის სარგავ ორმოში მოთავსება

- ხის მოთავსება ორმოში უნდა განხორციელდეს ხის პირვანდელი სივრცითი ორიენტაციის გათვალისწინებით;
- ხე-მცენარე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს ამწის გამოყენებით, ისე რომ მისი კომი 5-10 სმ-ით ამოწეული იყოს ნიადაგის ზედაპირიდან, ხოლო ფესვის ყელი ან ნამყენი ადგილი მიწის ზედაპირიდან არანაკლებ 7-10 სმ-ით ზემოთ დარჩეს;

თუთა (*Morus sp.*) - N3; D - 30 სმ

ხე-მცენარის მოთავსების შემგომი ნაბიჯები

- ორმოში განთავსების შემდეგ, ხე უნდა აიკრას საყრდენზე ან გამაგრდეს თოკებით სამი მხრიდან;

ჩარგვის დროს არ უნდა დაზიანდეს მცენარის ფესვთა სისტემა, ღერო და ვარჯი:

- კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით;
- ხე-მცენარის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი;

ხე-მცენარის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

4. ხე-მცენარის გადარგვის შემდგომი მოვლა-პატრონობა

1. ხე-მცენარის დარგვისთანავე მასზე უნდა განხორციელდეს მცენარეთა მავნებელ-დაავადებების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები;
2. ხე-მცენარის მოვლა განხორციელდეს დარგვიდან (გადარგვიდან) 3 წლის განმავლობაში;
3. შესაძლებელია სპეციალური სარწყავი (ავტომატური) სისტემის მოწყობა მცენარის მუდმივი მორწყვის უზრუნველსაყოფად;
4. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით თვეში ერთხელ განხორციელდეს სარწყავი ჯამების გამარგვლა, გაფხვიერება და განახლება;
5. მორწყვა განხორციელდეს მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კვირაში ერთხელ;
6. დამატებითი მორწყვა განხორციელდეს წლის გვალვიან პერიოდში, საჭიროების მიხედვით;
7. განსაკუთრებით ინტენსიური მორწყვა საჭიროა ყლორტებისა და ფოთლების ზრდის დროს. შესაბამისად ინტენსიური მორწყვა დაიწყოს მაისის თვიდან;
8. გადარგვიდან მეორე და მესამე წელს ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე უნდა განხორციელდეს სერტიფიცირებული მინერალური სასუქების (NPK) შეტანა და მორწყვა;

გახმობის შემთხვევაში მცენარის ჩანაცვლება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ექსპერტი ლევან გოშაძე

შპს ხიდმშენი №2

ს.ნ. 205269500. იურიდიული მისამართი : საქართველო, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონში, გაგარინის ქუჩა # 27, ბ 13.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ რომ, ქ. თბილისში, შეშელიძის ქ. #18-ში (ს.კ. 01.11.04.026.046), შპს "ხიდმშენი #2"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიმდინერეობს არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. ტერიტორიაზე დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსება. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე მდებარეობს დიდტანოვანი თუთის ხე № 3, დიამეტრი 30 სმ. დაგეგმილია აღნიშნული ხის გადარგვა იმავე მიწის ნაკვეთის საზღვრებში. ხის დიამეტრიდან გამომდინარე შემუშავდა გადარგვის ინდივიდუალური-ტექნიკური დოკუმენტაცია. გაცნობებთ რომ მისი გადარგვა და შემდგომი მოვლა-პატრონობა განხორციელდება შპს ხიდმშენი № 2-ს მიერ, მისივე ტექნიკის გამოყენებით.

დირექტორი: ნოდარ ცქიტიშვილი

ს.ნ. 01024010433

თარიღი: 15.02.2022 წ.

